

K 36 375
3

საქართველო
საბჭოთაო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ილია ჭავჭავაძის ეპოგრაფიები (აღწერილობა)



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი


1951

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
ისტორიული დოკუმენტები და არქივები

ИСТОРИЧЕСКИЕ ДОКУМЕНТЫ И АРХИВЫ
ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

I

ქართველ მოღვაწეთა არქივები



899.962.1 095478252

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკვეთი მეორე

ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები (აღწერილობა)

შეადგინა და დასაბუქდად მოამზადა
შალვა გოჯალიშვილმა

K36.375
3

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი

1951





125-115





ილია ჭავჭავაძის ავტობიოგრაფიები და ნუსხები

„ილია გრიგოლისძე ჭავჭავაძე ქართველი მწერალი და საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული საზოგადო მოღვაწე“.

(გაზ. „პრაედა“, 1946 წ. 4.IX)

მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე „ქართველმა ხალხმა შესძლო საუკუნეების მანძილზე გამოეტარებინა თავისი ენა, თავისი ძველი კულტურა, თავისი ნებისყოფა გამარჯვებისა და თავისუფლებისადმი“ 1.

მიუხედავად ცარიზმის წარსული უკულმართი პირობებისა, რომელშიაც საქართველოს უხდებოდა ცხოვრება, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან გაჩნდნენ მშობლიური კულტურის ღირსშესანიშნავი კერები. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბილისის საეკლესიო მუზეუმი, სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასთან ერთად, თავს უყრიდნენ და იცავდნენ ფასდაუდებელ ძეგლებს: ხელნაწერ წიგნებს, სიგელ-გუჯრებს, ქართველ მოღვაწეთა და მწერალთა პირად არქივებს და სხვ.

ქართული კულტურის ამ შესანიშნავ დაწესებულებებში ათეული წლების განმავლობაში თავმოყრილი ეროვნული საუნჯე ამჟამად დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. კერძოდ, მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მდიდარ საცავებში ინახება მრავალი წერილობითი ძეგლი: ხელნაწერი ლიტერატურა (წიგნები), ისტორიული მნიშვნელობის სიგელ-გუჯრები, ქართველ მოღვაწეთა პირადი არქივები, ავტოგრაფები, ნუსხები და სხვ.

დღეს ქართული კულტურის განვითარება მაღალ საფეხურზე ავიდა. „პარტიამ უდიდესი მუშაობა ჩაატარა ჩვენი კლასიკოსების ფრიად მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ასათვისებლად.





წარსულის ყველა კულტურული ღირებულება, რაც წინათ გადამალული იყო, ახლა გამოყენებულია საბჭოების ქვეყნის მშრომელთა სამსახურისათვის⁴¹.

პარტიისა და ხელისუფლების, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის დიდი მზრუნველობით საბჭოთა კავშირის მრავალეროვან სახელმწიფოში გაერთიანებულ ხალხთა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარება უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ქართული კლასიკური ლიტერატურის დიდი მემკვიდრეობა მხოლოდ საბჭოთა საქართველოს პირობებში გახდა მასებისათვის ხელმისაწვდენი. კერძოდ, საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწისა და ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის დაცვა, შესწავლა და გამოცემა დიდი მზრუნველობით მიმდინარეობს.

ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება ქართველი ხალხის საკუთრებად იქცა. ილია მახლობელი და საყვარელი გახდა ფართო მასებისათვის, რადგან მან მწერლობას ხალხის სამსახური დაუსახა მიზნად. მისი ლექსები, პოემები და მოთხრობები ხალხის ტკივილების, მწუხარებისა და ტანჯვის, სიხარულისა და იმედების გამოხატველია. ილია ქართველ ხალხში თავისუფლებისადმი სიყვარულს ზრდიდა და ავითარებდა, მის გულში ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის წყურვილსა და მისწრაფებას აღვივებდა.

ამიტომაცაა, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მუშაობის მთელი მემკვიდრეობა, — ავტოგრაფები და ნუსხები — წარმოადგენს ქართული კლასიკური ლიტერატურის ძვირფას განძს, რომელსაც სათუთი მზრუნველობით უვლიან და იცავენ ჩვენს სიძველეთსაცავებში. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის — ავტოგრაფების და ნუსხების — დიდი ნაწილი, რომლის აღწერილობაც დასაბეჭდად მომზადდა.

აღწერილობაში სისრულისათვის შევიტანეთ საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმსა და ქუთაისის მუზეუმში დაცული ილიას ავტოგრაფები და ნუსხებიც. აღწერილობაში შევიტანეთ აგრეთვე: რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მუზეუმში დაცული ილიას ავტოგრაფი კომედია — „მაქანკალი“, „კაცია-ადამიანიდან“ გადმოკეთებული; საქართველოს სახალხო

განათლების სახელმწიფო მუზეუმში დაცული ილიას ხელმოწერილი ოფიციალური მიმართვები სხვადასხვა პირისადმი.

* * *

ილია ჭავჭავაძე მხატვრულ თხზულებათა საბოლოოდ ჩამოყალიბების, დახვეწისა და სრულყოფისათვის განსაკვიფრებელ შრომას ეწეოდა. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მთელი ავტოგრაფები და ნუსხები ამისი უტყუარი მაგალითია. ილია არასოდეს არ აჩქარდებოდა, რომ რომელიმე თხზულება, ლექსი იქნებოდა, პოემა თუ მოთხრობა, დამთავრებისთანავე გამოეკვეყნებია. შემოქმედებითი მუშაობის პროცესში, ილია უკვე დაწერილ ნაწარმოებს სხვებს უკითხავდა და უზიარებდა. იგი ყოველთვის სხვის აზრს ისმენდა და შემდგომი შემოქმედებითი მუშაობის აღმაფრენისათვის ძალასა და ენერგიას იკრებდა. თხზულების დამთავრების შემდეგაც იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მას კვლავ უბრუნდებოდა, მასზე ფიქრობდა, საკუთარ აზროვნებაში სასტიკი კრიტიკის „ქარცეცხლში“ გაატარებდა, თავს უყრიდა „ივერიის“ რედაქციაში თავის თანამშრომლებს, ქართველ მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, ქართული მწერლობისა და ლიტერატურის მოყვარულთ და უკითხავდა მათ. ისმენდა სხვის აზრს, კრიტიკას, შემდეგ თითონ გონების თვალთ ასწონ-დასწონიდა, ხელმეორედ მიუტრიალდებოდა, ასწორებდა, გამოსაკლებს გამოაკლებდა, დასამატებელს დაუმატებდა, საბოლოოდ გადასწერდა და მხოლოდ ამ ხანგრძლივი შემოქმედებითი პროცესის გავლის შემდეგ, ასე ჩამოქნილ თხზულებას, როცა დარწმუნდებოდა მის ღირსებაში, მაშინ გადასცემდა დასაბეჭდად.

საერთოდ, ილია ყოველთვის, დიდი ყოყმანის შემდეგ, ბედავდა მიეცა რამე დასაბეჭდად. ილიას ხშირად უთქვამს: — „რა გითხრათ? მანამ ლექსი ჩემთან არის—ჩემი მგონია, მახარებს, და რაკი დაიბეჭდება, საქვეყნოდ გახდება, ისეთს გრძნობას განვიცდი, თითქოს გულიდგან საყვარელი, ღვიძლი შვილი მომგლიჯესო“.

„იქნება, იმითაც აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ილია დიდ ხანს ინახავდა კალთის ქვეშ ამოფარებულს თავის პირველ შვილებს და მინამ ასაკის ხანში არ შევიდოდნენ, არ იმეტებდა მათ საქვეყნოდ გამოშვებას, როგორც ჩიტი ბუდიდგან არ გამოუშვებს და არ დააფრენს თავის ბარტყებს, ვიდრე მაგარ ფრთებს არ შეისხამენ“¹.

¹ იაკობ მანსვეტა შვილი ი. მოგონებანი, 1936, გვ. 115.

ილია ჭავჭავაძეს მდარე ღირსების ლიტერატურული ნაწარმოები ძალიან ეჯავრებოდა და მას უსაქმო კაცის ნაცოდვილარსა და ნაჯღაბნს უწოდებდა. იგი არა მარტო სხვისი შემოქმედებითი ნიმუშების შეფასებაში იჩენდა ასეთ სისასტიკეს, არამედ ასეთივე უღმრთელი და სასტიკი კრიტიკის თვალთ ზომავდა საკუთარ ლიტერატურულ თხზულებებსაც. ამას გვიდასტურებენ ილიას ახლო თანამშრომლები და მომუშავენი, რომელთაც წლების განმავლობაში მასთან უხდებოდათ მუშაობა. ილიას შესახებ სოფრომ მგალობლიშვილი წერდა: „წერაში ფრთხილი იყო, ასჯერ გაზომავდა და ერთხელ მოსკრიდა, მინამ ისეთს ფორმაში არ წამოასხავდა თვისს ნაზრევს, რომ კაცი მოეხიბლა, ან თვით მოხიბლულიყო, არ დაანებებდა თავს, ათასნაირად გადასხ-გადმოსხავდა სიტყვებს, წინადადებებს და სასტიკად გაშალაშინებულს და ცეცხლში გამობრძმედებულს გაუშვებდა დასაბეჭდად“¹.

„რამდენჯერ გაუთენებია ილიას სულ პატარა მეთაურის დაწერაზედ, რომელიც მწვავე რამ საზოგადო საგნის შესახები ყოფილა,—გადმოგვცემს გრ. ყიფშიძე—უკვე დაწერილს, თუ არ მოეწონებოდა, ჰხევდა შეუწყალებლად და იწყებდა ხელახლა წერას, მერე კიდევ, მერე კიდევ და ასე განაგრძობდა, ვიდრე ყოველმხრივ, შინაარსითაც, კილოთიც სრულიად არ დააკმაყოფილებდა. ეს დრო-კი მაშინ დგებოდა, როცა გათენებული იყო და ხან მზეც უკვე ამოსული.“

თუ ასე ექცეოდა საგაზეთო წერილს, ადვილი წარმოსადგენია, რა უაღრესის სასტიკობით ეკიდებოდა თვისის შემოქმედობის ნაყოფს... „ოთარაანთ ქვრივი“ სამჯერ თუ ოთხჯერ გადასწერა, თან უკითხავდა თავის თანამშრომლებს, ყურადღებით ისმენდა მათს შენიშვნებს და ასწორებდა, აკეთებდა, აშალაშინებდა.

ასე ფრთხილი იყო ილია, ასე სასტიკად ეკიდებოდა თავის მოვალეობას მწერლისასა და პუბლიცისტისას!“²

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მუშაობის პრაქტიკაში მრავალ მაგალითს ჰქონია ადგილი, როცა ავტორს შემდეგ უკვე აღარ მოსწონებია თავისი ზოგიერთი ლექსი, გამოქვეყნების ღირსად არ მიუჩნევია და უარუყვია. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ მისივე ავტოგრაფები—ლექსები: „პავლოვსკის პარკი“-ს ავტოგრა-

¹ ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი, 1938, გვ. 143—149.

² გრ. ყიფშიძე. ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფია), თხზ. ტ. I, 1914

ფის გასწვრივ აშიაზე ფანქრით ილიას მიერ მიწერულია: „რითორიკა უშვერი“, ხოლო თვით ტექსტიც ფანქრითვე გადაუხაზავს წაშლია (იხ. 3. S:4993); იქვე ლექსის—„ს...ს“ ტექსტიც ავტორს ფანქრით გადაუხაზავს და აშიაზე მიუწერია: „რითორიკა“; ლექსების „ტუჩთა მიკონვა“-ს და „სინჰარი“-ს ტექსტებიც ავტორის მიერ გადახაზულ-წაშლილია და სხვ.

* * *

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან მეტად მნიშვნელოვან ავტოგრაფებს შორის აღსანიშნავია: კრებული 3. (S:4993), რომელიც შეიცავს 87 ტექსტს. მასში მოთავსებულია დიდი ნაწილი ორიგინალური და თარგმნილი ლექსები, პოემები: „ქართვის ღედა“ (სათაურით—„ღედა და შვილი“), „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, პირვანდელი ესკიზი „დიმიტრი თავდადებულისა“ და სხვ.

კრებული 2. (ლიტ. 3/4), რომელშიაც წარმოდგენილია 63 ტექსტი, დიდი ნაწილი ორიგინალური და თარგმნილი ლექსებია. მასშია აგრეთვე პირვანდელი ვარიანტები (ნაწყვეტები) პოემებიდან: „ქართვის ღედა“ (ძღვნა), „აჩრდილი“, „დიმიტრი თავდადებული“ და სხვ. ამ ორსავე კრებულში წარმოდგენილია მრავალი ლექსის ავტოგრაფი რამდენიმე ვარიანტით, როგორც, მაგალითად: „ყვარლის მთებს“, „ნანა“, „ალ. ჭავჭავაძე“, „მაშინ დაესტკმები“, „მეუა“, „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ და სხვ. ბევრი მათგანის ერთი და იმავე ლექსის სრული ავტოგრაფი ორსავე კრებულშია მოცემული, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთებია: „ჩიტი“, „ლოცვა“, „ეხილვე სატრფო“, „ერთხელ ჯდა ჩემთან ქალი ლამაზი“, „ხმა გულისა“, „მთვარეს“, „როდემდის?“, „ციურნი ხმები“, „გუთნის ღედა“, „გავსწორდეთ ბედო!“, „ქართვის ღედას“, „ელეგია“ და სხვ.

ილიას დრამატული პოემის—„ქართვის ღედა“-ს—ოთხი სრული ავტოგრაფი გვაქვს. ამ პოემის პირველი ვარიანტი დაიწერა 1860 წლის 14 ივლისს—„ღედა და შვილი“-ს სათაურით (იხ. 3. S:4993); მეორედ ავტორმა ეს პოემა 1871 წელს ხელახლად გადაამუშავა და ახალი სათაურით („ქართვის ღედა“) დასაბეჭდად გაგზავნა ერთი „კრებულის“ რედაქციისათვის (იხ. 32. S: 5024), ხოლო მეორე—პეტრე ნაკაშიძისათვის (იხ. 33. ლიტ. 2/4). ავტოგრაფის ბოლოს მინაწერ წერილში, ამ პოემის შესახებ, ილია პეტრე ნაკაშიძეს სწერდა: „პეტრე! გიგზავნი ხელახლად გადაკეთე-



ბულს შენდამი ნაძღვნევეს ჩემს „ქართულის დედას“. თუ მთავროვნოს, მიეცი ნიკოლაძეს დასაბეჭდათ. გთხოვ, შენი მიზნით დაეხმარებოდე ბელი აზრი მაცნობო ამ პატარა თხზულებაზედა. კარგად კი წაიკითხე. მე ყველაზე უფრო ჯარის სიმღერა მომწონს, გლეხურ კილოზედ მოწყობილია. თუ მოგეწონოს დასაბეჭდათ, შენთან მოწყობილი ძღვნობის ლექსიც დააბეჭდონ ამასთან ერთად. კორრექტურა შენთვის მომინდვია“.

როგორც ჩანს, ცენზორს პოემის ახალი სათაური—„ქართულის დედა“ ამოუშლია. ამის გამო იძულებულ ილიას ისევ ძველი სათაური—„დედა და შვილი“—აღუდგენია და ამ სათაურით დაიბეჭდა „კრებულში“ (1871 წლის № 3). პოემის მეოთხე ავტოგრაფი (34. S:5019.) ეკუთვნის 1879 წელს, რის მიხედვითაც მეორედ დაიბეჭდა „ივერიაში“ (1879 წ. № 7—8). ამ ავტოგრაფის ტექსტის მთელი რიგი ადგილი ცენზორის მიერ წითელი ფანქრით არის ხაზგასმული და წაშლილი. რაც შეეხება პოემის შესავალ „ძღვნა“-ს, დასახელებული ოთხივე ავტოგრაფის გარდა, მისი ცალკე შეხუთე ავტოგრაფიც გვაქვს (იხ. კრებული 2. ლიტ. 3/4).

ილიას განთქმული „მგზავრის წერილები“ სამი სხვადასხვა ავტოგრაფული ტექსტი გვაქვს (იხ. 43. S.5016; 44 ქუთ.). პირველი ტექსტი წარმოადგენს ადრინდელ ვარიანტს სათაურით—„ვლადიკავკასიიდან ქალაქამდე“, რომელშიაც მოცემულია პირველი ორი თავი სრულად, ხოლო მესამე თავის—დასაწყისი. იგი ავტორის მიერ გადაწერილია 1871 წელს: მეორე ტექსტი წარმოადგენს „მგზავრის წერილებს“ მეორე ნაწილის (V—VIII თავი) საბოლოო რედაქციას, ავტორის მიერ გადაწერილს იმავე 1871 წელს; მესამე ტექსტში არის პირველი ორი თავი სრულად, ხოლო III თავის ნაწილი, რომელიც ავტორს გადაუწერია 1871 წელს და გაუგზავნია კირილე ლორთქიფანიძისათვის „კრებულში“ დასაბეჭდად.

ამ ავტოგრაფების ტექსტების მიხედვით ჩანს, რომ „მგზავრის წერილებშიც“ განიცადეს ცენზურის მიერ სასტიკი დამახინჯება. ავტოგრაფის მეორე ტექსტი გატარებულია ცენზორის ხელში და ბოლოში მიწერილია ნებართვა: „Дозволено цензурою. 23 Июня 1871 года“. სიტყვა „Цензурою“-ს წინ ილიას მიერ ფანქრით მიწერილია—„Дурацкою“. ტექსტში ცენზორს ამოუშლია მთელი რიგი ადგილები. ერთგან ამოშლილი ადგილის გასწვრივ, აშინაზე, ილიას მიუწერია: „უნდა. ახ, ცენზორო!“ ხოლო მეორეგან, მეორე თავიდან, ტექსტის დასასრული დაწყებული წინადადებიდან: „მივიხვდი, ჩემო მოხვევე, რა ნესტარითაცა ხარ ნაჩხლეტი“, ცენ-

ზორს ბოლომდის ამოუშლია. ამ ადგილის გასწვრივ, აშინაზე, ილიას მიერ მიწერილია: „უნდა. ცენზორს სუნის აღება ჰსცოდნია.“

მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“ მეტად საყურადღებო ტექსტია შემონახული (იხ. 52. S:5013). ამ ხელნაწერის დიდი ნაწილი ავტოგრაფია. 1887 წელს იგი ილიას გადაუწერია, ხოლო მისი მცირე ნაწილი უცნობი ხელითაა ნაწერი. ტექსტში მთლიანად მოცემულია I—XXI თავები. აკლია მხოლოდ ბოლო XXII თავი. ხელნაწერის მთელი ტექსტი ავტოგრაფული მნიშვნელობისაა, რადგან, შიგადაშიგ უცნობი პირის მიერ გადაწერილი, შესრულებულია ილიას მეთვალყურეობითა და მის მიერვე რედაქტირებულია. გრ. ყიფშიძის მოწმობით, ილია ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქვრივი“ სამჯერ თუ ოთხჯერ გადასწერა, თან უკითხავდა თავის თანამშრომლებს, ყურადღებით ისმენდა მათ შენიშვნებს და ასწორებდა, აკეთებდა. აშალაშინებდა“.

მოთხრობა „გლახის ნაამბობის“ სრული ავტოგრაფი არ მოგვეპოვება, გვაქვს მხოლოდ მოთხრობის მეორე ნაწილის (VII თავიდან ბოლომდის) ავტოგრაფი (იხ. 42. ქუთ).

ილიამ „გლახის ნაამბობის“ პირველი ნაწილი (I—VI თავი) პეტერბურგში ყოფნის დროს, 1859 წელს, დაწერა, ხოლო მისი მეორე ნაწილი (VII—XII თავი) საკმაოდ მოგვიანებით, 1873 წლის დამდეგს — დაამთავრა.

1872 წლის 9 დეკემბერს გაგზავნილ წერილში ილია კირილე ლორთქიფანიძეს სწერდა: „დღეს მიეყავ ხელი გლახის ნაამბობის გაგრძელებას. ღვთით, რომელიც შენა არ გწამს, დასრულდება. გლახის ნაამბობის კორრექტურა უკანასკნელი მე უნდა გავშინჯო“.

1873 წლის 15 იანვარს დუშეთიდან ილია ბაქოში მყოფ თავის მეუღლეს სწერდა: „მე რვას შინ მოვედი და გლახის ნაამბობი თითქმის შევასრულე. მგონია, ურიგო არ გამოვა. ეხლა დანარჩენსა ვწერ: ეს კია, რომ კარპეკას¹ მოსვლა ვერაფრად მოუხდება ჩემს გლახის ნაამბობსა. კატოს² უთხარი, რომ ამ ჩემს ნაამბობში არავისა ვლანძღამ-თქო.“

„გლახის ნაამბობის“ შესახებ 1873 წლის 18 იანვარს ილია „კრებულის“ რედაქტორს ნიკო ნიკოლაძეს სწერდა: „ტყუილ-უბრალოდ შეუწუხებინხართ გლახის ნაამბობის კორრექტურის თაობაზედ. მე გთხოვეთ მარტო უკანასკნელი კორრექტურა გამომიგზავნოთ იმ

¹ კარპეკა—რევიზორი იყო, რომელმაც ხელი შეუშალა „გლახის ნაამბობის“ წერაში.

² კატო—ილიას ცოლის და, ბაქოში ცხოვრობდა. ილიას მეუღლე ოღლა იმ დროს დასთან იყო სტუმრად.



პირობით, რომ მეორეს დღესვე უკან დაგიბრუნდეთ. გლახის ნაამბობის ბოზის გასწორება ფიქრად აღარა მაქვს, როგორც დაბეჭდილ ისე გადაბეჭდეთ. დეე მაგ პირმშო ძემან ჩემმან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილა. ვისაც არ მოეწონოს, გზა აუქციოს.

განგრძელება მზადდება, ოთხი თავი, რომელიც უდრის 35 გვერდს საქართველოს მოამბისას, მზად არის კიდევ „კრებულის“ სამსახურისათვის. მე მგონია, რომ შესრულებისათვის ერთი ამოდენა კიდევ დამჭირდეს ასე, რომ თებერვლისა და მარტის კრებულსა თავ-საყრელად ეყოფა. ვწერ კი, მაგრამ არ ვიცი როგორი მოსაწონი გამოვა. ცუდი საქმე მიყავით, რომ ვგრე ცოტა დრო მომეცით ნაამბობის შესასრულებლად. რაც ახალი დამიწერია, მინდოდა შენთვის გამომეგზავნა, რომ შენ და კირილეს თვალი გადაგველოთ და მის შემდეგ თქვენი პირუთვნელი აზრი ჩემთვის გეცნობებინათ. ამ განზრახვისაც თავი დავანებე. რაც იქნება, ის მოხდეს... რაც მინდოდა, იმას კი ვიტყვი ჩემს გლახის ნაამბობში და კარგად ვიტყვი, თუ ცუდად—ამის დარდი ბევრი არა მაქვს. დღეს ველი რევიზორს. აბა იფიქრე რა რიგად მოუხდება რევიზორი ჩემს გლახის ნაამბობს“¹).

როგორც ილიას პირადი წერილებიდან ჩანს, „გლახის ნაამბობი“ ავტორს 1873 წლის 29 იანვრისათვის უკვე დამთავრებული ჰქონია. ამ დღეს დაწერილი ბარათით ილია კირილე ლორთქიფანიძეს ატყობინებდა, რომ „გლახის ნაამბობი“ შესრულებულიაო, ზოლო იმავე დღეს დაწერილ მეორე წერილში სწერდა: „გლახის ნაამბობი დავასრულე და თებერვლის ათამდინ გამოგიგზავნი, რაც დაბეჭდილია იმაზედ, თუ არ მეტი, ნაკლები არ გამოვა. დიდი ხანია ეგ ნაამბობი გულში მედო და ძლივს მოვიშორე. არ ვიცი როგორ მოგეწონებათ. ზოგიერთი ადგილები, მაინც, მე მგონი კარგი უნდა იყოს. მაგრამ რაც არის, არის, ღმერთმა მშვიდობა მიჰსცეს, მე ხომ თავიდან მოვიშორე და!“

ამის შემდეგ, ილიას მოთხოვნის დასაბეჭდად გაგზავნა დიდხანს აღარ დაუყოვნებია. ერთ უთარილო წერილში, რომელიც 1873 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში უნდა იყოს დაწერილი, იმავე კირილე ლორთქიფანიძეს სწერდა: „ძნაო კირილე! გიგზავნი ჩემს გლახის ნაამბობს. ჯერ ვიდრე დაჰბეჭდდე, შენებურად გადიკითხე და შენი პირმოუფერებელი აზრი მაცნობე...“

¹ შურ. „მნათობი“, 1933, № 8—9, გვ. 282—283.

შენი ქირიმე კირილე, ჩემი გლახის ნაამბობის ფურცლები არ და-
მიკარგო, მაგის მეტი არც თეთრი მაქვს და აღარც შავი“.

ამ გარემოების გამო, 1873 წლის 1 თებერვლის თარიღით
დუშეთიდან ილია თავის მეუღლესაც სწერდა: „მე უშენობით და-
ლიან მოწყენილი ვარ, არსად არ დავდივარ და სულ ვწერ და
შინა ვზივარ. გლახის ნაამბობი გავათავე და იბეჭდება კიდეც, და-
ბეჭდილს გამოგიგზავნი. ზოგიერთი ადგილები, მგონი, კარგი გა-
მოვიდა, ამას კი გეტყვი, რომ მაგის გათავებაზედ გული აღარ მი-
მიწევდა, მაგრამ როგორც იყო, გავათავე და გულიდამ თითქო-
ლოდი მომეხსნაო“.

იმავე წლის 1 მარტს გაგზავნილ წერილშიც ილია თავის მე-
უღლეს ატყობინებდა: ჩემი გლახის ნაამბობი სრულიად იბეჭდება
და როცა დაიბეჭდება, გამოგიგზავნი. ვინც ხელნაწერი წაიკითხა,
მოიწონაო. შემდეგ, 16 მარტს გაგზავნილ წერილშიც სწერდა:
„გლახის ნაამბობი ჯერ არ დაბეჭდილა და იმიტომ ვერ გიგზავნი.
ბეჭდვენ კი და როცა დაიბეჭდება შენა და კატოს თითო ეგზემ-
პლიარს გამოგიგზავნი. თუმცა ჩემი ნაჯღაბი კატოსათვის დიდი
არაფერი იქნება, მაგრამ იმოდენა მაინც შეეძლება, რომ სახსოვ-
რად შეექმნეს კატოსა“.

მოთხრობის დაბეჭდვის მოგვიანების გამო, იმავე წლის 23
მარტის თარიღით ილია წერდა: გლახის ნაამბობი იბეჭდება და
ჯერ კი არ დაბეჭდილა. ისიც ბანკის საქმედ გახდა, აღარ თავ-
დებაო.

ამრიგად, ილიას მოთხრობა „გლახის ნაამბობი“ მთლიანად
პირველად დაიბეჭდა 1873 წელს ჟურ. „კრებულში“.

მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“—ს ავტოგრაფი არ მოიპოვება.
ილიას ლიტერატურულ მემკვიდრეობაში შემონახულია მხოლოდ
წინასიტყვის ოთხი ვარიანტული ავტოგრაფი (იხ. 26.S:5025;
46.S:5169). ამ ვარიანტების მიხედვითაც ნათელი ხდება, რომ
ილიას დიდი შემოქმედებითი მუშაობა ჩაუტარებია „კაცია-ადამი-
ანის“ საბოლოო ჩამოყალიბებისათვის. მას ეს მოთხრობა პრაქტიკ-
ულად გადაუმუშავებია, შეუსწორებია, გადაუწერია და, ამრიგად, მი-
უღია მისი საბოლოო რედაქცია. იგი პირველად 1863 წელს ჟურ-
ნალ „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა.

პოემის—„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვ-
რებიდამ“—გვაქვს პირვანდელი სრული ავტოგრაფი (იხ. 3. S:4993)
და მისი ვარიანტული პირი, ავტორის მიერვე გადაწერილი, სათა-
ურით—„მოთხრობა ქისიყელისა“ (იხ. 24. S:4994).

ილიამ ეს პოემა დაამთავრა 1860 წლის 11 დეკემბერს პეტერბურგში. მისი დაბეჭდვა მოახერხა 1863 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“, რომელშიაც პოემის მხოლოდ პირველი ნაწილი დაბეჭდა. როგორც ცნობებიდან ჩანს, კირილე ლორთქიფანიძემ პეტერბურგიდან ილიას სთხოვა, — გაეგზავნა პოემა 1864 წლის „ჩონგურში“ დასაბეჭდად. ილია ერთ უთარილო წერილში, რომელიც დაწერილი უნდა იყოს 1863 წლის დამლევს ანდა 1864 წლის დამდეგს, კირილე ლორთქიფანიძეს სწერდა: „რამდენიმე სურათი“, ანუ „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გეგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდენ. თუნდ რომ მანდ როგორმე მოახერხო და ნების დართვა აიღო, აქ მთელ წიგნებს აგიკრძალავენ, ეს ნამდვილად ვიცი. მეც ბევრი ვეცადე აქაურ ცენზურის კაჟიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს. დასაწყისი მაგისი რამოდენიც „საქართველოს მოამბეშია“, თუ გნებავს, დაბეჭდე“¹.

ილიას, ბოლოს, პოემა კირილესათვის მაინც გაუგზავნია პეტერბურგში, მაგრამ, ცენზურის დაბრკოლების გაჰო, მან მაინც ვერ მოახერხა მისი „ჩონგურში“ მთლიანად დაბეჭდვა.

პოემა „აჩრდილი“-ს პირველი ვარიანტის, რომელიც დასრულდა 1859 წლის 26 იანვარს, სრული ავტოგრაფი გვაქვს (იხ. 10.S:4995), ხოლო ამავე პოემის მეორე ვარიანტის — სრული ნუსხა (იხ. 11. Q:181). პოემის მესამე ვარიანტისა და საბოლოო რედაქციის სრული ავტოგრაფები არ შემონახულა. გვაქვს მხოლოდ მისი ნაკლული ტექსტები (იხ. 17. ქუთ.; 19. S:5032).

ისტორიული პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ მხოლოდ პირველი ნაწილის (I—XII თავი) ავტოგრაფი არის შემონახული (იხ. 46.S:5169), რის მიხედვითაც დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ 1878 წლის იანვრის ნომერში. პოემის მეორე ნაწილის დანარჩენი თექვსმეტი თავის, რომელიც მთლიანად დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ 1879 წლის № 1-ში, ავტოგრაფი არ შემნახულა. ავტოგრაფის მიხედვით პოემის პირვანდელი სათაური ყოფილა — „ბრმა — მეფანტურე“, რომელიც შემდეგ ავტორს გადაუხაზავს და ფანქრით წაუწერია: „მეფე დიმიტრი თავდადებული“. პოემის ავტოგრაფის პირველი ფურცლის ბოლოში ავტორის მინაწერია თავის შეგობარ პეტრე ნაკაშიძისადმი: „ძმავ პეტრე! შენგან ჩაგონებულს

¹ წერილის სრული ტექსტი იხ. ქვემოთ რიგი 7. (ქუთ) შენიშვნაში.

შენვე გიძღვნი“. ამ მინაწერიდან ჩანს, რომ ილიას დაბეჭდვამდე პოემა პეტრე ნაკაშიძისათვის გაუგზავნია.

ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის“ სრული ავტოგრაფი გვაქვს (იხ. 47. S:5020); მისი ტექსტი დაწერილია სუფთა ლამაზი ხელით და შიგადაშიგ არის მცირე შესწორებები. პოემა დამთავრებული იყო 1883 წლის 6 თებერვალს და დაიბეჭდა იმავე წლის ჟურნალ „ივერიაში“. ავტოგრაფის მიხედვით, პოემას პირველად სათაურად ჰქონია „ბეთლემი“, შემდეგ—„მელდაბნოე (ხალხში გაგონილი ლეგენდა)“. ეს ორივე სათაური შემდეგ წაუშლია და საბოლოოდ მიუწერია—„განდეგილი (ლეგენდა)“.

პოემა „განდეგილზე“ ავტორის შემოქმედებითი მუშაობის შესახებ გრ. ყიფშიძე მოგვითხრობს:—„დავიწყებერთი პოემა და არ ვიცი, როგორი გამოვა“, გვითხრა ილიამ, საქმეების გათავების შემდეგ და წაგვიკითხა პირველი ხანა; მეტი არა ჰქონდა ჯერ დაწერილი. დიდებული სურათი თოვლიან-ყინულიანის მთებისა და მუნ გამოკვეთილის ბეთლემის მონასტრისა თვალწინ წარმომიდგა; თითქო თავბრუ დამესხა, გამოვყეყეყდი და თითქმის ველარა გავიგერა იმისი, რაც გვიამბო იმ თემისა და შინაარსისა, რომელიც უნდა განვითარებულყო და დაწერილიყო შემდეგ პოემის ლასათავებლად. „განდეგილი“ დამთავრდა და წაკითხულ იქმნა განსვენებულ დავით სარაჯიშვილის სახლში. მაშინდელი ინტელიგენცია, მოყვარულნი მწერლობისა თითქმის სულ იქ იყვნენ. ილიამ კითხვა გაათავა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თითქო ეკითხება შეკრებილთ, რას ბრძანებთო... გაიმართა საუბარი, კამათი „...“¹

ლექსის—„ქართველ სტუდენტების სიმღერა“-ს—რამდენიმე ავტოგრაფი გვაქვს, რომლებიც ილიას სხვადასხვა დროს გადაუწერია (იხ. მისი პირველი ვარიანტი 2. (ლიტ. 3/4); მეორე ვარიანტი 3. (S:4993); მესამე ვარიანტი 7. (ქუთ.), ხოლო საბოლოო რედაქციული ტექსტი 9. (ლიტ. 1/4), რომლის მიხედვითაც პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ 1870 წლის № 2-ში).

ლექსის—„ბაზალეთის ტბის ძირას“—სამი დასრულებული ვარიანტი (იხ. 51. S:5027) და სამი პირვანდელი ესკიზი გვაქვს. ამ ლექსის პირველი ვარიანტი ილიამ დაწერა 1883 წლის 14 ივლისს. ილიას შემოქმედებიდან ეს ლექსი პირველი იყო, რომელიც 1890 წელს ჟურნალ „ჯეჯილში“ დაიბეჭდა. მანამდის ამ ჟურნალში ილიასი არაფერი არ დაბეჭდილიყო. ამის შესახებ ი. მანსვეტაშვილი

¹ გრ. ყიფშიძე. ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფია), თბ., ტ. I, 1914, გვ. XLII—XLIII.

გადმოგვცემს: „ჟურნალის რედაქციას გულთ აკლდა, რომ ილიამ არაფრით სცა პატივი. მე ვიდე კისრად ეს ნაკლი შემეყოს და შეეუწინდი ილიას. როგორც იყო დავიყოლიე, ილია დამამარდა პატივით ლექსის მოცემას. მთელი თვე მომიხდა უკან დევნა, მინამ ილია გააბედავდა თავის დანაპირის შესრულებას. მომცა თავისი იმ ხანებში დაწერილი¹ ლექსი „ბაზალეთის ტბა“. დიდი სიხარული იყო ჟურნალისთვისაც და მკითხველებისთვისაც ამ ლექსის დაბეჭდვა. ამის მიზეზს მიჰხვდებით, თუ გაიხსენებთ ამ მშვენიერს, მდიდარს როგორც გარეგანი ფორმით, ისე აზრიანი შინაარსით ლექსს“².

ილიას წვრილი ლექსების ავტოგრაფებიდან ცალკე უნდა მოვიხსენიოთ იმ დროისათვის გამართული „მამათა და შვილთა“ ბრძოლის პერიოდში დაწერილი პამფლეტები: „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“ და „პასუხის-პასუხი“³. პირველი ორი ავტორის მიერ დაიწერა 1871 წლის 7 დეკემბერს, რომელიც მიმართული იყო მშინდელი ძველი თაობის თავად-აზნაურთა წარმომადგენლების წინააღმდეგ.

ილიას „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“ საცენზურო პირობების გამო მაშინ ვერ დაიბეჭდა და ხელნაწერების სახით ფართოდ იყო საზოგადოებაში გავრცელებული. „გამოცანების“ ტექსტში წარმოდგენილია ცხრა ლექსი—გამოცანა, ხოლო „კიდევ გამოცანებში“ შვიდი ლექსი—გამოცანა, რომლებშიაც იგულისხმებოდნენ მაშინდელი დროისათვის ცნობილი პირები.

გამოცანების საპასუხოდ ძველი თაობის წარმომადგენელმა „მამათა“ ბანაკიდან, ცნობილმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა 1872 წელს დაწერა ლექსი—„პასუხი შვილებთა“. მას მიჰყვა ილიას შესანიშნავი ლექსი—„პასუხის-პასუხი“, რომელიც დაიწერა 1872 წლის 28 იანვარს. ეს იყო პირდაპირ გამანადგურებელი პასუხი ახალი თაობისაგან ძველი თაობისადმი. ილიას ყველა ამ პამფლეტის უკვე დასახელებული ავტოგრაფების გარდა აღწერილობაში შევიდა აგრეთვე მათი ხელნაწერებიც (ნუსხები)⁴, რომლებიც მაშინ ხალხში იყო გავრცელებული.

1872 წლის 13 თებერვალს გაზ. „ღროების“ რედაქტორი სერგი მესხი ძველი თაობის წინააღმდეგ მიმართული აღნიშნული ლე-

¹ ი. მანსვეტა შვილი აქ შეცდომას უშვებს. ლექსი „ბაზალეთის ტბა“ ადრევე ჰქონდა დაწერილი, სახელდობრ 1883 წელს, მხოლოდ არ ჰქონდა მანამდის გამოქვეყნებული.

² ი. მანსვეტა შვილი. მოგონებანი, გვ. 114.

³ კრებული 3. (S:4993); გამოცანები 35. (S:5023).

⁴ 36. (ლიტ. 514); 37. (H: 2622); 38. (ლიტ. 7147/4); 39. (H:571); 40. (H:2658); 41. (S:5030).

ქსების გავრცელების შესახებ აკაკი წერეთელს სწერდა: „რომ იცოდე, რა პამფლეტები გამოდის აქ. შენც გაგონილი და წაყინებული გექნება ის „გამოცანა“, რომელიც ამას წინათ გამოვიდნა. ახლა გამოვიდა მოხუცებულების „პასუხი“ ამ გამოცანაზე, სადაც შენც და სხვებიც საზოგადოთ მწერლები და იმერლები ვართ საშინლათ კინტურათ ვალანძლული. თითქმის იმავე დროს გამოვიდა ამ „პასუხის პასუხი“. მშენიერი რამ არის, მაგრამ კაცმა არ იკის—ვისია. თუ არ არის მანდ, მომწერე, ვადაგიწერ და გამოგიგზავნი. ამას ქუთაისშიაც ექნება ინტერესი“¹.

როგორც სერგი მესხის ამ წერილიდან ჩანს, პამფლეტების ავტორის ვინაობა საზოგადოებისათვის უცნობი იყო და მის გამომქლავნებას ერიდებოდნენ. ცხადია, ს. მესხმა იმ დროს ქუთაისში მყოფ აკაკი წერეთელს გაუგზავნა აღნიშნული ლექსები და მათი საშუალებით იქაც გავრცელდა.

თვით ილია ჭავჭავაძე, ს. მესხზე უფრო ადრე, გამოცანების დაწერის რამდენიმე დღის შემდეგ, 1871 წლის 11 დეკემბერს დავით ერისთავს სწერდა: „დათიკო! გიგზავნი გამოცანებს. რომ წაიკითხავ და დააკვირდები, მგონია, მიხვდე ვინც არიან აწერილნი. ჯაქმე იმაშია, რომ არაეინ—არც შენმა მახლობელმა და ჩემმა—არ უნდა იცოდეს ვისგან არის დაწერილი და ხალხში გავრცელებული. შენ იცი, როგორც შეინახავ ჩემს სახელს საიდუმლოდ. დაბეჭდვა მაგ ლექსისა არ იქნება,—ეგ ისე უნდა გავრცელდეს ქალაქში. მაგ გავრცელებაშიაც ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე, თორემ ჩვენდა სამტროდ „ისინი“ ყოველისფერს სიმურტლეს იკადრებენ და მაშინ ჩიტი პრტყენად აღარ ეღირება.“

გამომიცხადებია, რომ შენს მეტს მანდ ქალაქში არვის ვანდე ეგ ჩემი ლექსი. შენ იცი როგორც უპატრონებ“.² დავით ერისთავს ილიას პამფლეტები რუსულადაც უთარგმნია და ისე უვრცელებია საზოგადოებაში. ილია მეორე წერილში 1872 წლის ივლისში დ. ერისთავს სწერდა: „ძმაო დათიკო! შენი წიგნი თარგმანი-თურთ მივიდე. ზოგიერთი ხანა ძალიან კარგათ არის ნათარგმნი... მიკვირს მე-VII გამოცანა რატომ აღარ გადაგიღია? მე შევიტყე, რომ პასუხი, პასუხის პასუხი და სხვანი გადაგიღია. თუ გიყვარდე გამომიგზავნე. ან გადმოუდი და თან წამომიდე. მე ოცდა ორის ივლისიდან ოცდაექვსამდე შინ ვიქნები. თუ ღმერთი გწამს (რა კაცს

¹ ს. მესხის წერილი აკაკი წერეთლისადმი, საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ფონდი H:1496/9.

² წერილის ავტოგრაფი—საქ. ლიტ. მუზეუმში, № 335/2.



გისხენებ ღმერთსა!..), გადმოდი, ერთი მასლაათით სული მოვი-
ბრუნოთ“.

ილიასაც უცდია თარგმნა რუსულად თავისი გამოცანების,—
პირველი ორი გამოცანის,—რევაზ ანდრონიკაშვილისა და გიორგი
მუხრან-ბატონის შესახებ. თავისი რუსული თარგმანი, წერილთან
ერთად, ილიამ დავით ერისთავს გაუგზავნა და თან დასძინა: „აბა
ჩემი ნათარგმნიცა ნახე. ჭაშნიკად გიგზავნი“¹.

ილიას არქივმა შემოგვინახა აგრეთვე მეტად საყურადღებო
ავტოგრაფები რუსულად. ეს მასალები შეიცავს ოფიციალურ წე-
რილებს და მოხსენებებს, კონსპექტებს, ამონაწერებს და შენიშვნებს
სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური საკითხების შესახებ: კარლ
მარქსის, ფრიდრიხ ენგელსის, ფ. ლასალის, შმოლერის, შტამლე-
რის, კარლ ბიუხერის, სპენსერის და სხვათა შრომებიდან (იხ. ქვე-
მოთ 116, 117, 118).

ამ ავტოგრაფებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს
საერთოდ ილია ქავჭავაძის მსოფლმხედველობის შესწავლისათვის.

* * *

ილია ქავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის ავტოგრა-
ფების გარდა აღწერილობაში შევიტანეთ მისი ნაწერების ნუსხე-
ბიც, რომლებიც ხელნაწერებში იქნა შემონახული და რომლის გა-
მოვლინებაც შეეძლებოდა. ცხადია, ამ ნუსხებსაც აქვთ გარკვეული
მნიშვნელობა ილიას შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლისა-
თვის. ასეთია: ქუთაისის მუზეუმში დაცული ნუსხები: „რა ვაკე-
თეთ? რას ვშვრებოდით? ანუ საქართველოს ისტორია XIX საუკუ-
ნეში“, „ჩემი თარი-ალალი!“, „ქართველი სტუდენტების სიმღერა“,
„აჩრდილიდგან“ (ნაწყვეტი), „აჩრდილი“ (ბოლონაკლული), რამ-
დენიმე ხანა პოემა—„აჩრდილი“-სა და სხვ. ყველა ამ ნუსხების დი-
დი ნაწილი გადაწერილია ცნობილი საზოგადო მოღვაწეების კ. ლორ-
თქიფანიძისა და პ. უშიკაშვილის მიერ.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფი-
ლებაში დაცული ნუსხებიდან აღსანიშნავია: მოთხრობა „სარჩობე-
ლაზედ“ (პატარა ამბავი) (S:5018); „პასუხის პასუხი“, „გამოცანე-
ბი“ (H:571; 2622); ქართველ მწერალთა კრებულში (S:3723) შესული
ლექსები: „ჩიტი“, „ზედა-ქადაგი“ (გეტესი), „ელეგია“, „არაგვი“ (აჩრ-
დილიდგან), „მტკვრის პირას“ (ლუარსაბ მაღალაშვილს), „თ. ალექ-

¹ წერილის ავტოგრაფი—საქ. საზ. ლიტ. მუზეუმში, № 336/2.

„ანდრე ჭავჭავაძე“, „პოეტი“ (უფ. ნიკ. ლოლობერიძეს); ლექსთა კრებულში (A № 1753) შესული ალექსანდრე ცაგარლის ხელით გადაწერილი ლექსები: „მძინარე ჭალი“, „პოეტი“, „ხმა სამარიაში“, „უსულდგმულო ცხოვრება“, „ციურნი ხმები“. „ერთხელ მეც, ძმანო“, „მწუხარება“; კრებულში (A: № 1280) შესული ლექსები: „ჩემი თარი-ალალი“, „ქართველი სტუდენტების სიმღერა“, „რა ვაკეთებ, რას ვშვებოდით? ანუ საქართველოს ისტორია XIX საუკუნეში“ და სხვ.; ლექსთა კრებულში (Q: № 347): „ელეგია“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ქართლის დედას“, „მას აქეთ, რაკი შენდამი“, „მესმის, მესმის სანატრელი“, „მუშა“, „იანიჩარი“, „უსულდგმულო ცხოვრება“, „გაზაფხული“ და სხვ.

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში თვალსაჩინო ადგილი უკავია აგრეთვე კერძო მიმოწერას, რასაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურული საკითხების შესწავლისათვის.

ილიას მიმოწერა, თავმოყრილი ჩვენს არქივთსაცავებში, შეიცავს სამი ძირითადი ხასიათის მასალას:

1) ილიას წერილებს ნათესავ-მეგობრებთან და ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან. ამათგან მეტად მნიშვნელოვან მასალებს იძლევა წერილები: დავით ერისთავისადმი, პეტრე უმიკაშვილისადმი, ვასილ მაჩაბლისადმი, კირილე ლორთქიფანიძისადმი, ილია ოქრომჭედლიშვილისადმი, სერგი მესხისადმი და სხვ;

2) ილიას წერილებს მეუღლესთან—ოლა თადეოზის ასულ ჯურამიშვილ-ჭავჭავაძისადმი;

3) ქართველ მოღვაწეთა წერილებს ილიასადმი. ამ წერილებიდან აღსანიშნავია: დიმიტრი ყიფიანის, გრ. ორბელიანის, ვასილ მაჩაბლის, ეკატერინე გაბაშვილის, პეტრე უმიკაშვილის, დავით ერისთავის, ილია ოქრომჭედლიშვილის, ანთიმოზ ჯუღელის, ალექსანდრე ცაგარლისა და სხვ.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის მნიშვნელოვანი ნაწილი ოფიციალური წერილებისა (მიმართებებისა), რომლებიც ილიას ხელმოწერით თავის დროზე დაეგზავნა სხვადასხვა პირს. ეს ოფიციალური მიმოწერაც არანაკლებ მნიშვნელოვან მასალას იძლევა ქართული საზოგადოებრივი საკითხების შესასწავლად. ამათგან აღსანიშნავია ოფიციალური მიმართვები გაგზავნილი მიხეილ მაჩაბლის, ალექსანდრე ყაზბეგის, გიორგი ქართველიშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილის, კირილე ლორთქიფანიძის, ლუარსაბ ბოცვაძის და სხვებისადმი.

ილია ჭავჭავაძეს თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში საქმიანი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე უცხო

ქვეყნების კულტურისა და მწერლობის მაშინდელ წარმომადგენლებთან, რომლებიც დიდი ინტერესითა და ყურადღებით ეკიდებოდნენ საქართველოსთან დაახლოებას და მისი კულტურითა და ისტორიული წარსულით იყვნენ დაინტერესებული. ამათგან აღსანიშნავი არიან: გერმანელი ლიტერატორი არტურ ლაისტი, რომელმაც პირველად თარგმნა გერმანულად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. იგი, საზოგადოდ, ჩვენი მწერლობისა და კულტურის დიდი მოყვარული და ილიას მახლობელი მეგობარი იყო.

ასეთივე თავაზიანობითა და პატივისცემით იყო მიღებული ინგლისელი ქალი მარჯორი უორდროპი, რომელმაც ინგლისურად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ და ილია ჭავჭავაძის პოემა „განდევილი“.

ქართული ენითა და მწერლობით დაინტერესებული იყვნენ აგრეთვე ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მორფილი და გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი შუხართი, რომლებიც სწავლობდნენ და იკვლევდნენ ქართულ ენასა და მწერლობას. ყველა ამ აღნიშნულ უცხო ქვეყნის მოწინავე წარმომადგენლებთან ილია ჭავჭავაძეს მჭიდრო საქმიანი ლიტერატურული და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ილიას საარქივო ფონდში შემონახულია მიმოწერა არტურ ლაისტთან, მარჯორი უორდროპთან, პროფესორ შუხართთან და სხვებთან. ყველა ეს მიმოწერაც მეტად საგულისხმო მასალას იძლევა საქართველოს მოწინავე საზოგადო მოღვაწეების ისტორიული მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის შესახებ დასავლეთ ევროპის ხალხთა პროგრესულ წარმომადგენლებთან.

ყველა ეს აღნიშნული ოფიციალური და კერძო წერილები აღწერილობაში შევიდა.

ილიას კერძო წერილებიდან მნიშვნელოვანი ნაწილი წარსულში, პერიოდული პრესის ფურცლებზე სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა¹. ზოგიერთი წერილის ავტოგრაფი, რომელიც წინათ პერიოდულ

¹ ი. ჭავჭავაძე. წერილები, I. იოსებ ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით. სოხუმი, აფხაზეთის სახელგამი, 1949. სამწუბაროდ, წერილების ეს კრებული არამეცნიერულად არის გამოცემული. წერილები არასრულია. თვით ტექსტები დაიბეჭდა უამრავი კორექტურული, ორთოგრაფიული, სტილისტიკური და ფაქტობრივი შეცდომებით. არ არის მითითებული იმ წერილების პირვანდელი პუბლიკაცია, რომლებიც სხვადასხვა დროს იყო პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული, და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამ კრებულში ისინი პირველად გამოქვეყნდა. არც ერთ წერილზე არ არის მითითებული თუ სად არის ის დაცული.

პრესაში იყო გამოქვეყნებული, ჩვენამდე არ მოღწეულა. კარგულად ითვლება. მათი არსებობა მხოლოდ პრესაში შემოკვამნიან ვგინახა.

ილია წინამძღვრიშვილმა 1909 წლის გაზეთ „დროებაში“ (№ 32) გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძის ხუთი წერილი, მიწერილი საგურამოს მამულის მოურავ მოსე მემარნიშვილისადმი. აღნიშნული წერილების გამოქვეყნების შესახებ ილია წინამძღვრიშვილი იქვე გაზ. „დროებაში“ წერდა: — „ნეტარ ხსენებულ მგოსნის ილია ჭავჭავაძის ქალაქებში, სოფელ საგურამოში, იმის სახლში აღმოჩნდა რამდენიმე წერილი, მიწერილი ილიას მიერ მოსე-მოურავთან, მოურავის მიწერილ წერილებზედ საპასუხოდ. რადგან პოეტის წერილები შეიცავენ იმის შეხედულობას გლახკაცის მიმართულებაზედ და ყველასათვის საგულსხმო იქნება იმათი შინაარსი, ამისათვის ვბეჭდავთ ამ წერილებს“.

არანაკლებ საყურადღებო შენიშვნით გამოაქვეყნა ილიას წერილი ვლ. მიქელაძემ 1908 წლის „ნიშადურში“ (№ 59) შემდეგი სათაურით „მუდამ მომზადებული ილია“. ვლ. მიქელაძე შენიშვნაში წერდა: „ძველ ქალაქებს ვათვალთვრებდი და წავაწყდი ილია ჭავჭავაძის ერთ მოწერილ ბარათს, რომელშიაც განსვენებული თავის თავს თითონ ახასიათებს. ვფიქრობ, ვინც ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის დაფასებას იტვირთებს, ეს პატარა წერილიც გამოადგება“.

ილიას წერილის შინაარსი მთლიანად მოგვაქვს. ილია ვლ. მიქელაძეს სწერდა: „ძმაო ვლადიმერ, დღეს საღამოზე „სამეურნეო საზოგადოებაში“ საზოგადო კრება არის და კირიმ-გირეის მოხსენება იქნება შესახებ აქაურ ენების ხმარებისა აქაურ სკოლებში. მე მინდა წინააღმდეგე, თუ აქაურ ენების წინააღმდეგი ლაპარაკი იქნება. რადგანაც ჩვეულებად მიღებული მაქვს მოუშვადებლად არსად წავეჩხირო, ამიტომ დღეს სამსახურიდან რომ შინ წავიღ, მაშინვე ამის სამზადისს შევუდგები. ამის მიზეზით დღეს შენთან სადილად ვერ ვისიამოვნებ და დიდსა და დიდს ბოდის ვიხდი. სხვა დროს იყოს, შენთან ქეიფი ყოველთვის სანატრელია და სასურველი. შენი ილია ჭავჭავაძე“.

წერილის ბოლოში რედაქცია შემდეგს დასძენდა: „ვბეჭდავთ ამ საყურადღებო წერილს, რომელშიაც ჩვენი სასიქადულო მგოსანი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ამბობს: „ჩვეულებად მაქვს მიღებული მოუშვადებლად არსად წავეჩხირო“. კეუის მასწავლებელია ვგ წერილი.“

კაცი, რომელმაც მრთელი თავისი სიცოცხლე სწავლაში გაატარა, რომელიც ყოველდღე იმის ფიქრში იყო ახალი რაქ შექმნა, შეესწავლა, წაეკითხა, თავისი ჭკუა-გონება განევეითარებინა, ცოდნით გაემდიდრებინა, ამისთანა კაცი ამბობს არსად არ წაეეჩხირები, თუ საგანი კარგათ არ გავითვალისწინე, არ შევითვისეო. სკოლებში სამშობლო ენის მნიშვნელობაზე უნდა ყოფილიყო იმდღეს ბაასი. განა ილიას საკმარისად არ ექნებოდა შეთვისებული ეს საგანი? განა იგი საკმაოდ არ იქნებოდა მომზადებული? მაგრამ მაინც კიდევ უნდა მოვემზადოვო, ამბობს“...

ასეთივე საყურადღებო წერილები დაიბეჭდა: დავით მესხისადმი 1885 წლის 9 ოქტომბრის თარიღით; ილიას პასუხი ქართველ-სტუდენტებისადმი „ნიშადურში“ 1908 წლის № 59-ში; 1887 წლის 9 ივლისის თარიღით დაწერილი სოფრომ მგალობლიშვილისადმი ეურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ში 1914 წლის № 22; წერილები პროფ. ილია ოქრომქედლიშვილისადმი გაზეთ „თემში“ 1915 წლის № 218; გაზეთ „სახალხო ფურცელში“ 1915 წლის №№ 274, 280 და სხვ.

ოფიციალურ საბუთთა რიგში მოვაქციეთ და აღწერილობაში შევიტანეთ აგრეთვე შეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი—„დროების“ რედაქციის პირობა“, რომელსაც სხვებთან (სერგი მესხი აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე) ერთად ხელს აწერს ილია ქავჭავაძე.

გაზეთ „დროების“ არსებობიდან ათი წლის შესრულებასთან დაკავშირებით, 1876 წლის 4 მარტიდან ახალი რედაქცია შედგა: სერგი მესხის, აკაკი წერეთლის, ილია ქავჭავაძის და ნიკო ნიკოლაძის შემადგენლობით. მათ შორის დაიდვა პირობა, რის მიხედვითაც ურთიერთ შორის ფუნქციები განაწილდა და შემუშავდა წესი გაზეთის გამოშვებისათვის. მაშინ „დროების“ რედაქციის პირობა“ არ გამოქვეყნებულა. ტექსტს მთლიანად ახლა ვბეჭდავთ:

ქართული გაზეთი

„დროება“

1 მარტს 1876 წ.

თბილისი

„დროების“ ჩამაშვილის პირობა

§ 1. „დროების“ რედაქციას შეადგენენ: აკაკი წერეთელი, ილია ქავჭავაძე, ნიკოლოზ ნიკოლაძე და სერგეი მესხი.

§ 2. როგორც გაზეთის ლიტერატურულ საქმეებში, აგრეთვე ეკონომიურში ამ ოთხს წევრს რედაქციისას ერთნაირი ხმა და უფლება აქვს.

§ 3. რედაქციის რჩევა დანიშნავს ერთს პირს, რომელსაც გაზეთის ეკონომიურ საქმეებს მიაბრის. ამავე რჩევაზე დასაყრდენი რედაქტორის ამორჩევა, როდესაც ახლანდელი რედაქტორი სერგეი მესხი, რომელსამე შემთხვევის გამო, დროებით ან სამუდამოთ ამ მოვალეობისაგან ხელს აიღებს.

§ 4. რედაქციის წევრნი ვალდებული არიან: ა) თავის შრომით დაეხმარონ გაზეთის გაუმჯობესობასა და წარმატებას ლიტერატურულის მხრით; ბ) მოსძებნონ საშუალება რომ მატერიალურის მხრით გაზეთს არავითარი დაბრკოლება არ ექნეს,—და საზოგადოთ ისე იზრუნონ გაზეთისათვის, როგორც თავის საკუთარ საქმისათვის.

§ 5. ყოველგვარი უთანხმოება, რომელიც რედაქციის რჩევაში ატყდება, ხმის უმეტესობით უნდა გადაწყდეს; თუ რჩევის ხმები თანასწორად გაიყოფა, მაშინ რჩევა მოიწვევს ერთს გარეშე პირს, აღძვრული კითხვის გადასაწყვეტად და ამ ორსავე შემთხვევაში თითოეული წევრი ვალდებულია უმეტესობის გადაწყვეტილებას დაემორჩილოს.

§ 6. ყოველ წევრს რედაქციისას უფლება აქვს შეაჩეროს გაზეთში დასაბეჭდი სტატია, თუ ის დაინახავს, რომ ამ სტატიის დაბეჭდვა გაზეთში რომლისამე მხრით მავნებელია. ამ შემთხვევაში სტატიის შემჩერებელმა რედაქციის რჩევა უნდა მოიწვიოს, რომელიც გადაწყვეტს: დაიბეჭდოს ეს სტატია, თუ არა.

§ 7. ამ თავითვე ბეჭდვით უნდა გამოცხადდეს, რომ დღეის შემდეგ „დროების“ რედაქციას შემოხსენებული ოთხი პირი შეადგენს და რომ გაზეთის საქმეში მკითხველი საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი მხოლოდ ეს პირები არიან.—ამ პირობას დავესწარი და მისი თანახმა ვარ „დროების“ გამომცემი სტეფანე მელიქიშვილი.

„დროების“ რედაქტორი და გამომცემელი

სერგეი მესხი

აკაკი წერეთელი

ილია ჭავჭავაძე

ნიკო ნიკოლაძე¹

„დროების“ რედაქციის ამ ახალი შემადგენლობის შესახებ თვით სერგეი მესხი წერდა: „ეს დღე შესანიშნავი იქნება ჩვენის გაზეთისათვის მითაც, რომ ამ ოთხის მარტივად 1876 წ. „დროებაში“ მიიღებენ განსაკუთრებითს მონაწილეობას ქვემოხსენებულნი პირნი, რომელნიც კისრულობენ როგორც ლიტერატურულს, აგრეთვე

¹ „დროების“ რედაქციის პირობა“ — საქ. მუზ. ხელნაწერთა განყ. S: № 5103.



მატერიალურს წარმატებას გაზეთისას: ნიკო ნიკოლაძე (ნიკანდელი), აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე.

ამათ გარდა ჩვენის გაზეთისათვის იშრომებენ ეხლანდელნი თანამშრომელნიცა¹.

„დროების“ განახლებული რედაქციის შემადგენლობამ დიდხანს ვერ იარსება. მათ შორის თავი იჩინა უთანხმოებამ საბანკო საკითხების გამო და რამდენიმე თვის შემდეგ დაიშალა. პირველად ილია ჭავჭავაძემ მიატოვა რედაქცია, ხოლო შემდეგ, 1877 წელს, ნიკო ნიკოლაძეც გავიდა.

* * *

ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფებისა და ნუსხების დაცულობის სადაურობა და საადრიცხვო ნომერი თითოეულ აღწერილობას, რიგითი ნომერთან ერთად, ფრჩხილებში აქვს მოცემული. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ფონდების აღსანიშნავად მიღებულია: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის და ხელნაწერის ნომერი; საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების—(H); საეკლესიო მუზეუმის—(A) ახალი ფონდის—(Q) და სული კოლეჯის—(რუს.); საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ-მუზეუმის ფონდის აღსანიშნავად მიღებულია — (ლიტ.) და ხელნაწერის ნომერი; ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის—(ქუთ.); თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მუზეუმის—(რუსთ. თეატრ.) და საქართველოს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის—(სგმ) და საბუთის ნომერი.

აღწერილობისათვის მიღებული წესების მიხედვით, ცალკეული ავტოგრაფების თუ ნუსხების შესახებ მოცემულია გარეგნული დამახასიათებელი ცნობები, ტექსტის დასაწყისი და ბოლო ნაწილი, თუ ტექსტი ნაკლულია. საპირობების შემთხვევაში, გზადგზა, თითოეულისათვის ცალკე, იქვე დართულ შენიშვნებში მოცემულია აგრეთვე ბიბლიოგრაფიული და სხვა სახის ცნობები.

31.I.1951

ქ. თბილისი

შალვა გოხალიშვილი

¹ ვაზ. „დროება“, 1876 წ., № 23, გვ. 1.

1. (S: 5028)

ყრმობის დროინდელი ლექსები

2 ფ.; 36×22; ქალაქი, უყდო, ავტოგრაფი (ადრეული ბავშვური ხელით); უთარიღო [1857 წ-მდე]

1. „სიტკბოება თვის მამეულში.
მოღით შორს მყოფნო თქვენს მამეულში,
მის სიტკბოება მაქვს მეტი გულში.
მე მუნ შთაფარდი ბედშია სრულში,
ამას სწორეთ ვიტყვი არა ვარ მრუში“... 1 r.
2. „ქაბუკობაზედ.
კაცის სიცოცხლეს აქვს გაზაფხული,
მას სიქაბუკე აქვს წოდებული.
ვინც მაგ ხანშია შეწონებული,
არის ყოველთვის შენატრებული“... 1 r-v.
3. „ღალონებული, არ ვიცი რაზედ,
ვიჯექ ბნელს ღამეს მე მოაჯარზედ,—
ერთი ვარსკვლავი არა სჩნდა ცაზედ,
ვერას ვხედიდი ჩემს წინა მთაზედ“... (1 v)
4. „მოთქმა საწყლისა.
სად მოვასვენო საწყალმან თავი?
არცა მაქვს სახლი, არც ქოხი ავი.
მზისგან დამწვარი მაქვს ტანი შავი,
ქვეყნათ არაინა მყავს მე შემნახავი“... (1 v—2 r)
5. „პატარა ჩიტი. [თარგმანი] [პირველი ვარიანტი]
ყოვლის უწინარეს მე განვიღვიძებ,
ფრთა ფრთას შემოვკრამ, რა თვალს ვახილებ,
დავკრამ, დაუშტვენ, ღმერთსა ვადიდებ,
მშვენიერის ხმით მსმენელს ვაგიჟებ“... 2 r.
შენიშვნა: ამ ლექსის შესწორებული ავტოგრაფები იხ. ქვემოთ: კრებული 2. (ლიტ. 3-4); კრებული 3. (s: 4993).
6. „აღბომში კნენის ნატალია ანდრონიკოვისას.
ნელი ტანის რხევა, ნაზი ქცევა მე შენი ვნახე,
არს შენნი თვალნი განათალნი ქაბუკათეთის მახე“... 2 v.



7. „ქნეიჟნა თიკოს ჰევექ[ავადის] ალბომში.
ჩემებრსა სუსტსა შენი ქება ვით შეეძლებოდა... 2 v.
შენ ხარ ქებაზედ აღმატებულ ესე მეთქმება“... 2 v.
8. „ჩემო გონებიდგან განუშორებელი დაო ნინავ! [ნინო ჰევექავადე-
დე-აფხაზისას].
ჩემს საყვარელს დას, სასურველს ნინას
წიგნსა მოგიწერ, თუ ყურს მისცემ სმენას“... 2 v.
შენიშვნა: 1) თითოეული ლექსის ბოლოს არის ხელმოწერა: „თ. ილია-
ჰევექავადე“.
2) პირველი ხუთი ლექსი ადრეული ბავშვური ხელით ნაწერია, ხო-
ლო უკანასკნელი სამი ლექსი უფრო გვიანდელი განსხვავებული ხე-
ლითაა.
3) „ჩიტის“ თარგმანის შესწორებული ტექსტი დაიბეჭდა „ციცკარ-
ში“, 1857 წლის იანვარში, № 1, გვ. 7. ცხადია, ყველა აღნიშნული
ლექსი დაწერილია 1857 წლის იანვრამდე.

2. (ლიტ. 3-4.)

კრებული

59 ფ.; (118 გვ.); 16,5×11; ქალაღი; უყდო (წიგნაკი); ავტოგრაფი; ნაკ-
ლული; 1856—1861 წ. წ. სხედასხვა დროს გადაწერილი (ტექსტებში
შიგადაშიგ ნასწორებია).

1. „ჩიტის (თარგმანი).
ყოვლთ უწინარეს მე განვიღვიძებ,
ფრთას ფრთას შამოვკრავ; რა თვალს ვახილებ“... (1 გვ.)
„1856-სა წელსა 17-სა ნოემბერს. ტფილისი“.
შენიშვნა: ამ ლექსის მეორე ავტოგრაფი იხ. ქვემოთ კრებულში
3. (s: 4993).
2. „ლოცვა.
მამაო ჩემო! რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლ მოდრეკილი, ღმობიერი ვსდგევარ შენ წინა“...
(2 გვ.)
„1858-სა წელსა 17 ივლისს. ს. ტიარლევო“.
შენიშვნა: ამ ლექსის მეორე ავტოგრაფი იხ. ქვემოთ კრებულში
3. (s: 4993).
3. * * *
„ვიხილე სატრფო; იგი ცრემლთ ღვრიდა,
ბედს და სიყვარულს მწარეთ დასტიროდა“... 2 გვ.
„1858-ს წელ[სა] 26 ოქტომბერს. ს. პეტერ-
ბურღი“.
შენიშვნა: ამ ლექსის მეორე ავტოგრაფი იხ. ქვემოთ კრებულში
3. (s: 4993).

4. * * * „ერთხელ ჯდა ჩემთან ქალი ლამაზი, ამას მეტყოდა, ის მარდი ნაზი“... 3 გვ.
„1858-სა წელსა, 26 ოქტომბერს. ს. პეტერბურლი.“
შენიშვნა: ამ ლექსის მეორე ავტოგრაფი იხ. ქვემოთ კრებულში 3. (ს: 4993).
5. „ს...ს მაშინ დავსტკბები სრულ სამოთხითა, როს სულ შენს ცისფერს შავყურებდე თვალს“... 3 გვ.
„1858 წელსა, 15-სა დეკემბერს. ს. პეტერბურლი.“
შენიშვნა: ამ ლექსის პირველი ვარიანტი იხ. ქვემოთ კრებულში 3. (ს: 4993) რიგი 5, ხოლო ბოლო რედაქცია იმავე კრებულში რიგი 85.
6. „(ღვინიღამ). ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა, დე ცრემლნი ჩვენი ერთათ შაერთდნენ. 4 გვ.
1858-სა წელსა დეკემბერი. ს. პეტერბურლი“.
7. „გულის ხმა. ჩუმ მალნარშია წამოწოლილი ვიყავ, ზედ მედგა ხის უხვი ჩრდილი“... 4 გვ.
„1859-სა წელსა 11-სა იანვარს. ს. პეტერბურლი“.
შენიშვნა: ამ ლექსის მეორე ავტოგრაფი იხ. ქვემოთ კრებულში 3. (ს: 4993).
8. „(ღვინიღამ) როცა შავყურებ მე შენ თვალებსა გრგვინვა და ტება გულის ღუმღებდა“... 5 გვ.
„1858-სა წელსა 22 დეკემბერს. ს. პეტერბურლი“.
შენიშვნა: ამ ლექსის მეორე ტექსტის ავტოგრაფი იხ. ქვემოთ კრებულში 3. (ს: 4993).
9. „მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში, თითქო უსურვლოთ და უფიქრელათ“... 5—6 გვ.
„1858 წელსა, 5 ნოემბერს. ს. პეტერბურლი“.
10. „ჩემს კვალს. დაე თუნდ მოგკვდე, არ მეშინიან, მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი“... 6 გვ.
„1858-ს წელსა 19-ს ნოემბერს. ს. პეტერბურლი“.
11. „წინასწარმეტყველი. (პუშკინით) რა ვწანწალებდი ბნელს უდაბნოსა, სასულიერო მწყურვილი მწვაავდა“... 7—8 გვ.
„1858-სა წელსა 23-სა ივლისს. ს. ტიარლევო“.
შენიშვნა: ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა ჟურ. „ცისკარში“ 1861 წლის № 1; მისი მეორე ავტოგრაფის ბოლო ნაწილი იხ. კრებულში 3. (ს: 4993).
12. „მთვარეს.

მთვარე! გპერეტ მშვიდათ მიცურავ ცაზედ

და შენ მკრთალ სხივთა ჰყრი ქვეყანაზედ“... 8—9 გვ.
„23-სა ივლის, 1858 წელსა, სოფელი ტიარლევო“.

შენიშვნა: იხ. მისი მეორე ავტოგრაფი ქვემოთ კრებულში 3.
(s: 4993).

13. „ლოცვა. ოდეს დემონი ურწმუნოების
უკუ თქმისა და მაცდუროების“... 9—10 გვ.
„28 აღვისტოს 1858 წელსა ს. ტიარლევო“.

14. „როდემდის?

როდემდის უნდა ჩვენ სიცოცხლის არ ვსცნობდეთ ფასსა?
როდემდის არ ვსცემთ ღვთიურს ნიჭსა ღირსა თაყვან-
სა?..“ 10 გვ.

„1-სა აღვისტოს, 1858 წელსა ს. ტიარლევო“.

შენიშვნა: იხ. მისი მეორე ბოლო ნაკლული ავტოგრაფი კრებულ-
ში 3. (s: 4993).

15. „ანგელოზი (პუშკინით).

ედემის კარზედ ნაზი ანგელი
თავით მოხრილით მობრწყინვალებდა“... 11 გვ.

„27-სა ივნისს 1858 წელს ს. ტიარლევო“.

16. „მითხარ „მიყვარხარ“—და იმავე წამში

ერთს გაშმაგებულ მხურვალ ხევენაში“... 11 გვ.

„18 იანვარს 1859 წელს პეტერბურდი“.

შენიშვნა: ლექსის მთელი ტექსტი ავტორის მიერ წაშლილი-გადა-
ხაზულია.

17. „ქეშმარიტება (პუშკინით).

ამას წინათა ბრძენი ეძებდნენ

ქეშმარიტების დავიწყებულთ კვალთ“... 12 გვ.

„1858 წ. 27-სა ივნისს ს. ტიარლევო“.

შენიშვნა: ამ ლექსის მეორე ავტოგრაფი იხ. ქვემოთ კრებულში 3.
(s: 4993).

18. „გუთნის-დედა.

გავქიმოთ, ლაბავ, ჩვენი ჭაპანი,

მხვედრათ გვრგებია მიწანი შავნი“... 13—14 გვ.

„1858-სა წელ[სა] 4 ივნისს ს. პეტერბურდი.“

შენიშვნა: ამ ლექსის პირველი ვარიანტი იხ. ქვემოთ კრებულში 3
(s: 4993).


19. სიმღერა.

„სად მიგყევარ, მდინარევ,

მოწყენილ სიცოცხლისაე“... 14—15 გვ.

„1858 წელსა, 4-სა ივნისს ს. პეტერბურდი.“


შენიშვნა: იხ. მისი მეორე ავტოგრაფი ქვემოთ კრებულში 3.
(s: 4993).



20. „გიყვარდეს!
 კაცო! გიყვარდეს!..
 ცათ შთამომძახეს“... 16 გვ.
 „23 ივნისს 1858 წ. სოფ. ტიარლევო“.
 შენიშვნა: იხ. მისი მეორე ავტოგრაფი ქვემოთ კრებულში 3-
 (ს: 4993).
21. „სტიროდეთ! (ლორდ ბაირონით) (ებრაული მელოდია).
 ოხ! სტიროდეთ მათ, ვინცა სტირიან
 მდინარეებზედ ბაბილონისა“... 16—17 გვ.
 „1858 წელსა, 23 თებერვალს ს. პეტერბურლი“.
 შენიშვნა: ლექსი „სტიროდეთ“ პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცის-
 კარში“ 1859 წლის № 9. მისი მეორე ავტოგრაფი იხ. ქვემოთ 3-
 (ს: 4993).
22. „ლოთის რჩევა.
 ძმანო! სიცოცხლეს ნუ მოჰკლამთ ცდაში
 სულ ამაოა ამ ქვეყანაში“... 17—19 გვ.
 „1858 წელსა 1-სა აღვისტოს სოფელი ტიარ-
 ლევო“.
23. „(მიბაძვა ჰეინისადმი).
 მეცა მქონია კარგი მამული!..
 თურმე სცხოვრებდა იქ სიყვარული“... 19 გვ.
 „19 იანვარი 1859-ს წელს ს. პეტერბურლი“.
 შენიშვნა: ამ ლექსის მეორე ავტოგრაფი იხ. ქვემოთ კრებულში
 3. (ს: 4993).
24. „გაეხწორდეთ ბედო!
 ეხ! ჩემო ბედო! ჩემს სიცოცხლეში
 სულ შენ ნებაზედ მითამაშნია“... 20 გვ.
 „19 იანვარს 1859-სა წელსა ს. პეტერბურლი“.
 შენიშვნა: იხ. მისი მეორე ავტოგრაფი ქვემოთ კრებულში 3. (ს: 4993).
25. „ტუჩთა მიკონვა, ტუჩთ მიკარება
 თუმც ხან ჩვენს გულში გესლად იღვრება“... 20 გვ.
 „1859 წელსა, 20 თებერვალს. ს. პეტერბურლი“.
 შენიშვნა: იხ. მისი მეორე ავტოგრაფი ქვემოთ კრებულში 3.
 (ს: 4993).
26. „ერთხელ მეც, ძმანო, მეც მყვარებია,
 გული წმინდ ალით მეც ამთებია“... 21 გვ.
 „19-სა თებერვალს 1859 წელსა. ს. პეტერბურლი“.
 შენიშვნა: ამ ლექსის მეორე ავტოგრაფი იხ. ქვემოთ კრებულში 3.
 (ს: 4993).



27. „სიხარული [ერთსტროფიანი]
სიხარული ჰგავს მინდორში გაზდილს
გზაზედ მოწყვეტილს სურნელსა ყვავილს“... 21 გვ.
„1859-სა წელსა 3-სა მარტსა ს. პეტერბურდი“.
შენიშვნა: ამ ლექსის მეორე ტექსტის ავტორად იხ. ქვემოთ კრე-
ბულში 3. (ს: 4993).
28. „(რუკერტით).
ჩრდილნი მალალ მთებისა
აგერ წყალზედ გადმოწენენ“... 22 გვ.
„18 იანვარს 1859. ს. პეტერბურდი“.
შენიშვნა: იხ. მისი მეორე ავტორად იხ. ქვემოთ კრებულში 3.
(ს: 4993).
29. „ციურნი ხმები.
ციურნი ხმები—
ეგ საკურვლები“... 22—23 გვ.
„1859-სა წელსა, 27-სა მარტსა. ს. პეტერბურ-
დი“.
შენიშვნა: იხ. ამ ლექსის მეორე ავტორად იხ. ქვემოთ კრებულში
3. (ს: 4993).
30. „ქართველის დედას
ქართველისა დედავ! ძუძუ ქართველისა
უწინ მამულსა უზდიდა შეილსა“... 23—24 გვ.
„15 დეკემბერს, 1858 წელსა. პეტერბურგი“.
შენიშვნა: 1) ტექსტს წინ უძღვის ეპიგრაფი:
„(აწმყო, შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავალისა). ლეიბნიცი“.
2) იხ. მისი მეორე ავტორად იხ. ქვემოთ კრებულში 3
(ს: 4993).
31. „ალაზანს (მიბაძეა)
ჰე, ალაზანო! მშობლიურ მთის ცრემლით შემდგარო,
აწ შენს კიდეზედ, ვზდგევარ, დაგცქერ, ძველ მეგობა-
რო“... 25 გვ.
შენიშვნა: 1) ტექსტს წინ უძღვის ეპიგრაფი:
„სიჭაბუკისა ყვავილი დამიჭნო ჟამთა დენამა.
ნდომეა მიმაკლო, დააგლო სასაპყროთ გული რბენამა“.
(ქილილა და დამანა. საბა ორბელიანი). 2) იხ. მისი მეორე ავტო-
რად იხ. ქვემოთ კრებულში 3. (ს: 4993).
32. „ნანა ქართველისა
(ვუძღენი ყოველს ნამდვილ ქართველს დედას) [პირ-
ველი ვარიანტი]



ნანა, შეილო, ნანინა!..

მითხარ, რამ შეგაშინა?..“ 26—28 გვ.

„1859 წელსა. 6-სა აპრილს. ს. პეტერბურგი“

შენიშვნა: 1) ლექსის მთელი ტექსტი ავტორის მიერ გადაზახულია.

2) ამ ლექსის მეორე ავტოგრაფი იხ. ქვემოთ კრებულში 3.

(ს: 4993).

33. * *

„ბევრი ვიტანჯე; ვიცი რომ მელის

ბევრიც სხვა ტანჯვა მომავალშია“... 29 გვ.

„26 დეკემბერი, 1858-სა წელსა. ს. პეტერბურგი“.

34. „ს...ს.

მას აქეთ, რაც შენ მე შემეყვარდი,

ალარ შორდება ჩემ გულსა ურვა“.... 29—30 გვ.

„30 დეკემბერს 1858 წელს. ს. პეტერბურგი“.

შენიშვნა: იხ. მისი მეორე ავტოგრაფი ქვემოთ კრებულში 3.

(ს: 4993).

35. „რისთვის მიყვარხარ?

რისთვის მიყვარხარ? მისთვის, რომ ცრემლსა

ჰბადავს ჩემს თვალში ეს სიყვარული“... 30—31 გვ.

„31 დეკემბერი 1858 წელს.“

36. „მითხარით, რისთვის ჩემ თავთანა მსურს

უფრო და უფრო დაერჩე ხშირ-ხშირათ?..“ 31 გვ.

„1858 წელსა. ს. პეტერბურდი.“

37. ნანა ქართელის აკვანზედ.

ნანა, შეილო, ნანინა,

„მითხარ, რამ შეგაშინა?“.. 32—35 გვ.

„13 აპრილს, 1859-სა წელს, პეტერბურგი“.

შენიშვნა: 1) ეს არის ვრცელი ვარიანტი ზემოთ აღნიშნულ „ნანა ქართელისა“-სი (იხ. № 32).

2) ლექსს წინ უძღვის ეპიგრაფი:

„Спи-же, пока забот не знаешь

Бабушки — баю“ (ლერმონტოვი).

38. „ელეგია.

მკრთალი ნათელი საესე მთვარისა,

მშობელ ქვეყანას ზედ გადესხმოდა“... 39

„1859-ს წელსა 4 ივნისს. პეტერბურგი“.

39. „ჩემი სიჭაბუკე.

ახ! სიჭაბუკე! სად არიან სიტყბონი შენნი

სად არს აღმტაცის სიყვარულიშ ტანჯვა, სამოთხე?...“

„30 ნოემბერს 1859-სა წელს“.

40. „დაკარგული ედემი

ვის უნახამს ის ედემი შლილი,

სადაც ისე ტკბილ არ არის ძილი“... 36—37 გვ.

„26 დეკემბერს 1859 წელს“.

41. მეფანტურე [პირვანდელი ესკიზი პოემა „დიმიტრი თავდადებულისა“] (შავი) [ვარიანტები]:

ა) „სოფლებში ვლიდა ოდესღაც თურმე ბრმა მეფანტურე მოხუცებული“... 37 გვ.

ბ) „სოფლებში ვლიდა ოდესღაც თურმე, გლახა საბრალო შეწუხებული“... 38 გვ.

გ) „ოდესღაც თურმე ვლიდა სოფლებში, გლახა საბრალო დაღონებული“... 38—39 გვ.

წყდება: „... ოდეს ქართველი ქართველათ ყოფილა, და თვის მამული მას ჰკუთნებია“...

42. „აჩრდილი ყაზბეგზედ ანუ ჩანგი მოხუცისა“ [ნაწყვეტები]:

ა) პირველი ნაწყვეტი. დასაწყისი.

„I. მზე დაჰყურებდა კავკაზს მღვიძარე, განაბრწყინებდა მის თეთრ-თმოსანსა“... 40 გვ.

წყდება: „უზომო სივრცეს იკარგებოდნენ. თავნი ებჯინათ ცისა კამარას“...

ბ) ნაწყვეტი მეორე:

„დიდხანს მივაბყარ ყურნი იმ ჩანგსა, თრთოლით შევხედე ყაზბეგსა მძღაერსა“... 41 გვ.

წყდება: „თურმე მოხუცი ის ლოცულობდა და ღმერთსა ესრეთ ევედრებოდა“...

გ) ნაწყვეტი მესამე: „ლოცვა [ლოცვა აჩრდილისა].


მსწრაფლ გარდმოეშო ცისა ლაქვარდსა

